ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციციის საერთო კრება

სხდომის ოქმი № 1

თბილისი 20-27 დეკემბერი 2009

20 დეკემბერს ადვოკატთა საერთო კრებაზე 12 საათისთვის 1186 დელეგატმა გაიარა რეგისტრაცია. 12.20 წუთზე კრება გახსნილად გამოცხადდა კრების თავმჯდომარემ, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრმა გოჩა სვანიძემ. კრების თავმჯდომარე არჩეული იქნა აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2009 წლის 16 დეკემბერს (ოქმი №45), თანახმად ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ 2009 წლის 17 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლისა. მონაწილეთა რეგისტრაცია გაგრძელდა 13 საათამდე და საბოლოოდ მონაწილეთა რაოდენობამ სამანდატო კომისიის დასუსტებული მონაცემებით შეადგინა 1330.

კრების თავმჯდომარემ გამოაცხადა კრების რეგლამენტი და დღის წესრიგი, რომელიც რეგისტრაციისას დაურიგდათ კრების მონაწილეებს.

დღის წესრიგი:

1. ხმის დამთვლელი კომისიის არჩევა.

2. წესდების ახალი რედაქციის განხილვა და დამტკიცება.

3. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის, სარევიზიო კომისიის წევრობის კანდიდატთა ნომინირება.

4. თავმჯდომარეობის კანდიდატების გამოსვლა

5. ხმის მიცემა (კენჭისყრა) და შედეგების გამოცხადება

6. ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური

პასუხისმგებლობის შესახებ დებულების განხილვა და დამტკიცება